სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №_47

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი კიბერუსაფრთხოების ბიუროს (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის მოადგილე გიორგი ბესტავაშვილის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №30. საიდენტიფიკაციო კოდი: 200280622;

მიმწოდებელი: შპს „აიტექნიკი"-ს (შემდგომში "მიმწოდებელი") დირექტორის ბექარი მიქუჭაძეს სახით. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი პეტრე ქავთარაძის N1-ი ფაქტიური მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. №19. საიდენტიფიკაციო კოდი: 404900531, სს. „თიბისი ბანკი", ბ/კ TBCBGE22, ა/ა **GE14TB7947436080100002**

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია CPV30200000 – კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები. ერთი ერთეული ლეპტოპის MacBooK (Apple MNYG2 MacBook 12 inch 512GB Grey 1 ცალი, Processor: intel® Core™ i5) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4589.00 (ოთხიათასხუთასოთხმოცდაცხრა) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწიდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მოწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მოწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №19

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. გარანტია

5.1 შეძენილი საქონლის MacBooK apple (MNYG2 12INCH 512GB GREY)-ის საგარანტიო ვადა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს კიბერუსაფრთხოების ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი გირშელ ჭოხონელიძე რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
6.2. მიწოდებული საქონლის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდებული საქონლის იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის, რომელიც განსაზღვრავს შეძენილი საქონლის გარანტიის ვადის პირობებს.

13. დასკვნითი დებულებები

13. 1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

შემსყიდველი სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო	მიმწოდებელი: შპს „აიტექნიკი“-ს
დირექტორის მოადგილე გიოეგი ბესტავაშვილი	დირექტორი ბექარი მიქუჭაძე

LEPL CYBER SECURITY BUREAU

Digitally signed by LEPL CYBER SECURITY BUREAU
Date: 2019.10.28 12:13:02 +04'00'